

მემორანდუმი

ქ. თბილისი

ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი ერთის მხრივ, ქ. თბილისში, თაყაიშვილის 4ა-ში (იურდ. მის. აბესაძის №8) მდებარე არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშემწყობი საზოგადოება, თავმჯდომარის ცოვინარ ნაზაროვას სახით და მეორე მხრივ ქ. თბილისში, ჯანო ბაგრატიონის №6-ში მდებარე დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის დირექტორის მალხაზ ბაძღუას სახით, მხარეთა კეთილ ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე მემორანდუმს ურთიერთთანამშრომლობის შესახებ და მზად ყოფნას ვაცხადებთ საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობით დაცვით ვითანამშრომლოთ ერთმანეთთან.

ურთიერთთანამშრომლობის მიზნით: - მხარეებს აერთიანებთ საერთო შეხედულება იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომ აუცილებელია სამართლის სფეროში დასაქმებულ პრაქტიკოს-იურისტთა, პედაგოგთა, მეცნიერთა, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტთა, დოქტორანტთა მონაწილეობა დანაშაულობის მიზეზების, თავიდან აცილების და პროგნოზირების სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, მათი შემდგომი პროფესიული სრულყოფისათვის და განვითარებისათვის, რის საფუძველზეც მიზანშეწონილად მიაჩნიათ ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშემწყობი საზოგადოებასა და დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის თანამშრომლობის ხელშეწყობა.

ამ მიზნით მხარეები გამოთქვამენ და ადასტურებენ თავიანთ სურვილსა და მზადყოფნას ითანამშრომლონ ერთმანეთთან.

I. არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის ჰარმონიული განვითარები ხელშემწყობი საზოგადოება და დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი წინამდებარე მემორანდუმის შესაბამისად მზადაა:

- ერთობლივი პროგრამების განსახორციელებლად;
- სამეცნიერო პუბლიკაციების, კონფერენციების, პრაქტიკული სემინარების, ტრენინგების, სოციოლოგიური კვლევების ჩატარების ხელშესაწყობად;
- სარეკომენდაციო ხასიათის წინადადებების შესამუშავებლად.

ადამიანის ჰარმონიული განვითარები ხელშემწყობი საზოგადოება თავმჯდომარე

ცოვინარ ნაზაროვა

დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის დირექტორი, პროფესორი

მალხაზ ბაძღუა

9. 02 2009 წელი

"9" 11 2009 წელი